თსუ-ს კურსდამთავრებულების გამოკითხვის

ანგარიში

გამოკითხვის ძირითად მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტში მიღებული განათლების მიღწეული შედეგების შეფასება. კვლევის მეთოდს წარმოადგენდა ონლაინ გამოკითხვა. კვლევის ინსტრუმენტი იყო რაოდნობრივი კვლევის კითხვარი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სულ 969 თსუ კურსდამთავრებულმა[1].

ძირითადი შედეგები

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე რესპოდენტების, (თსუ-ს კურსდამთავრებულების) დასაქმების მაჩვენებელი მაღალია (81.8%), დასაქმებულ კურდამთავრებულთა უმრავლესობა კი პროფილით, კვალიფიკაციის შესაბამისად მუშაობს და კერძო ან საჯარო სექტორში მოღვაწეობს (86.8%) სრულ სამუშაო განაკვეთზე. რაც შეეხება საქმიანობის სფეროებს, ძირათადად გამოიკვეთა: განათლება/მეცნიერება/ტრენინგი, იურისპრუდენცია, ფინანსები და საბანკო საქმე და საინფორმაციო ტექნოლოგიები. დასაქმებული რესპონდენტების უმრავლესობა მუშაობს როგორც ძირითადი პერსონალი (შემთხვევათა 60.4%), განსაზღვრულ ხელფასზე. სამსახურის მოძიება კურდამთავრებულებისათვის არც ისე რთულია (0-დან 6 თვემდე დასჭირდა ძირითად ნაწილს - 79.1%). დასაქმების ადგილის შესახებ ინფორმაციის მოძიება ძირითადად ინტერნეტის და ნაცნობ-მეგობრების საშუალებით ხდება. მინიმალურია უნივერისტეტის ჩართულობა - ეს სწორედ ის საკითხია, სადაც კარიერული მხარდაჭერის ცენტრის საქმიანობის გაძლიერება უნდა მოხდეს.

დასაქმებული კურსდამთავრებულების მიერ მათი ანაზღაურების და კვალიფიკაციისა და შესრულებული სამუშოს თანაფარდობა უფრო პოზიტიურია, ხოლო ამჟამინდელი დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული სამუშაო პირობებით კმაყოფილების დონე -საშუალოზე მაღალი. კურდამთავრებულები მიუთითებენ მუშაობის პროცესში საჭირო ისეთ უნარებსა და ცოდნაზე, რომელიც უნივერსიტეტში სწავლისას ვერ მიიღეს (პრაქტიკული უნარ-ჩვევები და უცხო ენების ცოდნა). სწორედ აღნიშნული კომპონენტების გაძლიერების შესახებ მიუთითებდნენ ასევე მოქმედი სტუდენტებიც. გარდა ამისა, დასახელდა ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციები საკუთარი კვალიფიკაციით დასაქმებისათვის: პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, სტაჟირების გავლა პროფილით. ბოლო ორი კომპონენტის გაძლიერება როგორც უკვე აღნიშნა, შესაძლებელია განხორციელდეს ასევე კარიერული მხარდაჭერის ცენტრის საშუალებით.

[1] დიაგრამებში, სადაც პროცენტების ჯამური რაოდენობა არ შეადგენს 100-ს, მიანიშნებს იმაზე, რომ გამოკითხვაში მონაწილე პირთა დარჩენილმა პროცენტმა არ გასცა პასუხი შეკითხვას.

ცაკლე განხილულია ის კურსდამთავრებულები, ვინც ამ ეტაპზე არ არის დასაქმებული, რომლის ძირითად მიზეზებსაც სამსახურის მოძიების სირთულე და სწავლის გაგრძელება (თსუ-ში ან საზღვარგარეთ) სახელდება. მოცემული ჯგუფის კურსდამთავრებულების 84% წარსულში დასაქმებული იყო. დასაქმების მაჩვენებლები (მაგ: სექტორი, სფერო, რგოლი, კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმება) ამჟამად დასაქმებული კურსდამთავრებულების მაჩვენებლების ტენდენციების იდენტურია. თუმცა განსხვავდება მათი წარსული სამუშაოთი კმაყოფილების დონე და ანაზღაურებით კმაყოფილება (საშუალო და დაბალია).

საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება (წარსული ან ამჟამინდელი) კვლევაში მონაწილე რესპონდენტების მცირე ნაწილს აქვს (12.1%), რომელთაგან უდიდესი ნაწილი არ იყო დასაქმებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

კვლევამ აგრეთვე გამოავლინა თსუ-ში მიღებული განათლების ხარვეზები, რომლებიც კურდამთავრებულებმა დაასახელეს, როგორც პირველ რიგში გასაუმჯობესებელი კომპონენტები, შრომის ბაზარზე თსუ-ს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ ანალოგიური პრობლემების შესახებ მიუთითებდნენ როგორც სტუდენტები ასევე დამსაქმებლები: პრაქტიკული და უცხო ენების კომპონენიტს გაძლიერება, სტაჟირების შესაძლებლობა, სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალების გაუმჯობესება და პროგრამების ე.წ. "არასაჭირო საგნებისგან" გათავისუფლება.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უმრავლესობა - 73.7% აპირებს სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურა / დოქტორანტურა / სარეზიდენტო პროგრამაზე - ძირითადად ისევ თსუ-ში (66.9%).

1. ინფორმაცია ამჟამად დასაქმებული კურსდამთავრებულების საქმიანობის შესახებ

კვლევის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტების დიდი უმრავლესობა დასაქმებულია - 81.8%. რაც შეეხება სამუშაო სტაჟს, დასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 1-3 ან 3 წელზე მეტია დასაქმებულია (ჯამში - 72.1%). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასაქმებულ კურდამთავრებულთა უმრავლესობა პროფილით, კვალიფიკაციის შესაბამისად მუშაობს.







დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ნახევარზე ოდნავ მეტი კერძო სექტორშია დასაქმებული, ხოლო 34.2% - საჯარო სექტორში.



სფეროები, სადაც დასაქმებული თსუ-ს კურსდამთავრებულები მუშაობენ მრავალფეროვანია, თუმცა შედარებით გამოკვეთლია ოთხი, კერძოდ:

- განათლება/მეცნიერება/ტრენინგი (18.2%);
- იურისპრუდენცია (12.7%);
- ფინანსები და საბანკო საქმე (12%);
- საინფორმაციო ტექნოლოგიები (9.9%).

15%-მა დაასახელა სხვადასხვა სფერო, რომლებიც არ შედიოდა აღნიშნულ კითხვაზე მითითებული პასუხების ჩამონათვალში (ცალცალკე მათი ხვედრითი წილი ძალზე უმნიშვნელოა).



სამუშაო გრაფიკი ძირითადად სრულ განაკვეთს მოიცავს (85.1%). ძალზე მინიმალურია იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც ნახევარ განაკვეთზე, ან სულაც თავისუფალი გრაფიკით მუშაობს.



თქვენი სამუშაო გრაფიკი:

დასაქმებული რესპონდენტების უმრავლესობა მუშაობს როგორც ძირითადი პერსონალი (შემთხვევათა 60.4%). შემთხვევათა დაახლოებით 15-17%-ში კი აღინიშნა დამხმარედ/ასისტენდად და/ან საშუალო რგოლის მენეჯმენტში დასაქმება. როგორც კვლევამ აჩვენა დასაქმებულ თსუ-ს კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა (91.6%) განსაზღვრულ ხელფასზე მუშაობს, ხოლო 7.3% - თვითდასაქმებულია.



რომელ რგოლში მუშაობთ ამჟამად?
(დასაშვებია რამდენიმე პასუხი)

შენიშვნა: *დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევების (რესპონდენტების პასუხების, და არა რესპონდენტების რაოდენობები), ამიტომ მათი პროცენტული ჯამი აღემატება 100-ს.*



შენიშვნა: *დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევების (რესპონდენტების პასუხების, და არა რესპონდენტების რაოდენობები), ამიტომ მათი პროცენტული ჯამი აღემატება 100-ს.*

ამჟამინდელი სამსახურის მოსაძიებლად რესპონდენტების ძირითად ნაწილს ძალზე დიდი დრო არ დასჭირვებია - 0-დან 6 თვემდე (79.1%). ნახევარი წელი ან 1 წელზე მეტი დასჭირდა დაახლ. 10-10%-ს. ინფორმაცია დასაქმების ამჟამინდელი ადგილის შესახებ ძირითადად ინტერნეტის (შემთხვევათა 52%) და ნაცნობ-მეგობრების (შემთხვევათა 41.2%) საშუალებით მოოპოვეს. უნივერსიტეტის ჩართულობა, მოცემულ შემთხვევაში დააახლოებით 15%-ია (ლექტორები და ადმინისტრაცია).





შენიშვნა: *დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევების (რესპონდენტების პასუხების, და არა რესპონდენტების რაოდენობები), ამიტომ მათი პროცენტული ჯამი აღემატება 100-ს.*

რესპონდენტებმა განსაზღვრეს, თუ რამდენად შეესაბამება მათი ანაზღაურება, მათსავე კვალიფიკაციას და შესრულებულ სამუშაოს.როგორც აღმოჩნდა, პოზიტიურ ტენდენციას (ე.ი. შესაბამისობა - შეფასებები "4" და "5" - "შეესაბამება", "სრულად შეესაბამება") ნახევარზე ოდნავ ნაკლები აფისქსირებს (48.6%), ნეგატიურს კი (ე.ი. შეუსაბამობა - შეფასებები "1" და "2") - 17%. ნეიტრალურად აფასებს 34.4%. თუმცა საერთო სურათის მიხედვით, ტენდენცია პოზიტიურია.

2. ანაზღაურებისა და კვალიფიკაციის შესაბამისობა. სამუშაოთი კმაყოფილების დონე. თვითშეფასება და უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღებისას გამოვლენილი ხარვეზები



დასაქმებული კურსდამთავრებულების უმრავლესობას - 81.4% მუშაობის პროცესში დასჭირვებია ისეთ ცოდნა და უნარები, რაც უნივერსიტეტში არ მიუღიათ. აღნიშნული ცოდნა/უნარებიდან გამოიკვეთა ორი: პრაქტიკული უნარ-ჩვევები (შემთხვევათა 82%) და უცხო ენების ცოდნა (51.9%).





შენიშვნა: *დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევების (რესპონდენტების პასუხების, და არა რესპონდენტების რაოდენობები), ამიტომ მათი პროცენტული ჯამი აღემატება 100-ს.*

რაც შეეხება კურსდამთავრებულების კმაყოფილებას ამჟამინდელი დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული სამუშაო პირობებით - საშუალოზე მაღალია (შეფასება "4" და "5" - "კმაყოფილი", "ძალზე კმაყოფილი") - 62.3%. ნეიტრალურ შეფასებას აფიქსირებს 28.2%.



რესპონდენტებმა დაასახელეს ის უნარ ჩვევები / კომპეტენციები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულისათვის, რომ საკუთარი კვალიფიკაციით დასაქმედეს. შედარებით გამოიკვეთა:

- სპეციალობის პრაქტიკული ცოდნა (შემთხვევათა 77.8%);
- პოზიციის შესაბამისი სამუშაო გამოცდილება (შემთხვევათა 54.1%);
- სპეციალობის თეორიული ცოდნა (44.1%);

- სტაჟირების გავლა პროფილით (42.3%).



შენიშვნა: *დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევების (რესპონდენტების პასუხების, და არა რესპონდენტების რაოდენობები), ამიტომ მათი პროცენტული ჯამი აღემატება 100-ს.*

3. ინფორმაცია კურსამთავრებულების შესახებ, რომლებიც ამჟამად არ არიან დასაქმებულები. მათი წარსული სამუშაო გამოცდილება

ის კურსდამთავრებულები, რომლებიც ამ ეტაპზე არ არიან დასაქმებულები (18.2%) ასახელებენ უმუშევრობის რამოდენიმე მიზეზს, სადაც შედარებით გამოკიკვეთა სამი მათგანი:

- არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ ვიშოვე (27.5%);
- ვსწავლობ / გავაგრძელე სწავლა თსუ-ში (18.5%);
- ვსწავლობ საზღვარგარეთ (18.5%).

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მოცემული ჯგუფის რესპოდენტების უმრავლესობა (84%) უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო დასაქმებული და მათგან ნახევარზე ოდნავ მეტმა (54.8%) 1 წელზე მეტ ხანს იმუშავა, ხოლო 18.7%-მა კი - 6-12 თვე. დასაქმების სექტორებს შორის, მოცემულ შემთხვევაშიც (ამჟამად დასაქმებული კურდამთავრებულების ანალოგიურად) გამოიკვეთა კერძო (56.4%) და საჯარო (30.7%) სექტორები.


რატომ/რა მიზეზით არ ხართ დასაქმებული?
(კითხვას პასუხობს მხოლოდ ის რესპოდენტი, ვინც 1-ელ კითხვას გასცა უარყოფითი პასუხი)
18.50%
5.10%
18.50%
5.60%
1.70%
27.50%
3.90%
9%
10.20%
ვსწავლობ/გავუგრძელე სწავლა ოსუ-ში
ვსწავლობ/გავუგრძელე სწავლა სხვა უსდ-ში
ვსწავლობ საზღვარგარეთ
გავდივარ სტაჟირებას
ოჯახური პირობების გამო
არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ ვიშოვე..
ვერ ვიშოვე ვერანაირი საქმიანობა
უახლოეს მომავალში ველოდები შემოთავაზებას
სხვა


ყოფილხართ თუ არა დასაქმებული მას შემდეგ რაც დაამთავრეთ უნივერსიტეტი
84%
16%
დიახ
არა





ამჟამად დასაქმებული კურდამთავრებულების მსგავსად წარსულში დასაქმებული, მაგრამ ამ ეტაპზე უმუშევარი კურდამთავრებულების...

i) უმრავლესობა (57.7%) დასაქმებული იყო პროფილით, კვალიფიკაციის შესაბამისად;

ii) ნახევარი (50.9%) წარმოადგენდა საშუალო რგოლს / ძირითად პერსონალს;





შენიშვნა: *დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევების (რესპონდენტების პასუხების, და არა რესპონდენტების რაოდენობები), ამიტომ მათი პროცენტული ჯამი აღემატება 100-ს.*

ამჟამად დასაქმებული კურსდამთავრებულებისგან განსხვავებით, უმუშევარი, მაგრამ წარსულში დასაქმებული რესპონდენტების კმაყოფილების დონე (წარსული სამუშაოთი) საშუალოა (კმაყოფილების დაბალი დონე (შეფასებები "1" და "2") - 21.4%; მაღალი დონე (შეფასებები "4" და "5") - 29.5%)). ხოლო ბოლო დამსაქმებელის მიერ შეთავაზებული

ანაზღაურებით კმაყოფილება კი - დაბალი 32.3% (შეფასებები "1" და "2"- 32.3%; შეფასებები "4" და "5" - 17.5%).





4. საზღვარგარეთ დასაქმების გამოცდილება

რესპონდენტების (ამჟამად დასაქმებული და მოცემულ ეტაპზე უმუშევარი კურსდამთავრებულები) აბსოლუტური უმრავლესობა (87.9%) არ ყოფილა საზღვარგარეთ დასაქმებული.

მხოლოდ 8.7%-ს უმუშავია საზღვარგარეთ წარსულში, ხოლო 3.4% ახლაც მუშაობს. მათი უმრავლესობა კი (ვისაც საღვარგარეთ უმუშავია ან მუშაობს) არ იყო დასაქმებული პროფილით, კვალიფიკაციის შესაბამისად.





5. უნივერსიტეტში მიღებული განათლების შედგების შეფასება

ზოგადად, კურსდამთავრებულების მიერ უნივერსიტეტში მიღებული განათლებით კმაყოფილება საშუალოზე ოდნავ მაღალია.



კითხვაზე, რა უნდა გაუმჯობესდეს უნივერსიტეტში, რომ მისი კურსდამთავრებული მეტად კონკურენტუნარიანი და მოთხოვნადი იყოს შრომის ბაზარზე, მრავალფეროვანი პასუხები დაფიქსირდა, თუმცა შედარებით გამოიკვეთა რამოდენიმე მათგანი, რომლებიც თანხვედრაშია მოქმედი სტუდენტების მიერ დასახელებულ, უნივერსიტეტში განათლების მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან:

- მეტი ფოკუსირება პრაქტიკულ მეცადინეობებზე (შემთხვევათა 77.6%);
- სტაჟირების შესაძლებლობა სტუდენტებისათვის (შემთხვევათა 71.7%);
- უცხო ენების სწავლის გაძლიერება (შემთხვევათა 69.1%);
- სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების გაუმჯობესება (შემთხვევათა 65.7%);
- საგანმანათლებლო პროგრამების ე.წ. "არასაჭირო საგნებისგან" გათავისუფლება (შემთხვევათა 57.6%)



შენიშვნა: *დიაგრამაზე მოცემულია შემთხვევების (რესპონდენტების პასუხების, და არა რესპონდენტების რაოდენობები), ამიტომ მათი პროცენტული ჯამი აღემატება 100-ს.*

კველვამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა - 73.7% აპირებს სწავლის გაგრძელებას მომდევნო საფეხურზე: მაგისტრატურა / დოქტორანტურა და ასევე სარეზიდენტო პროგრამაზე (85.4%). მონაცემების მიხედვით, მოცემული ჯგუფის რესპოდენტების უმრავლესობა (66.9%) ისევ თსუ-ში აპირებს სწავლის გაგრძელებას.




აგრძელებთ თუ არა დახელოვნებას სარეზიდენტო პროგრამაზე?
85.40%
14.60%
დიახ
არა


რომელ უნივერსიტეტში აგრძელებთ სწავლას?
66.90%
7.80%
0.80%
4.30%
1.70%
1%
17.50%
თსუ
ილიაუნი
თბილისის სახემწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
სხვა

6. დემოგრაფიული მონაცემები








სწავლების დამთავრების წელი
36.40%
31.60%
19.60%
3.70%
1.30%
0.90%
1.90%
4.60%
2017
2016
2015
2014
2013
2012
2011
სხვა


რომელი ფაკულტეტი დაამთავრეთ?
28.30%
8%
17.80%
6.20%
18.30%
1.90%
19.60%
ზუსტ და საბუნებისმეტყველო
ჰუმანიტარული
სოციალურ და პოლიტიკური
ფსიქოლოგიისა და განათლების
ეკონომიკისა და ბიზნესის
მედიცინის
იურიდიული